ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N240/8

ქ. თბილისი 11 12 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი", მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით და, მეორეს მხრივ შპს ,,ტელკო სისტემს" სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება
2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალ. დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2015 წლის ასიგნებების ფარგლებში, ტელეფონის აპარატების სახელმწიფ. შესყიდვაზე (CPV32500000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 1 179,3 (ერთი ათას ას სამოცდაცხრამეტი ლარი და 30 თეთრი) ლარად (შემდგომში ''ხელშეკრულების ღირებულება")

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1. ექვსი ერთეული ვოიპ ტელეფონი (AT820) ყურსასმენით (H012A) ერთეულის ღირებულება 196,55 (ას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 55 თეთრი) ლარი.

4. საქონლის მოწოდების პირობები:
4.1. ვადები:
4.1.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.
4.2. ადგილი:
4.2.1. ქ. თბილისში შემსყიდველის მიერ მითითებული მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამ. N144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 16.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ანაზღაურება იწარმოებს საქონლის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები
7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და საგარანტიო პირობების შესაბამისად.
7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, (ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით).
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი.

9. გარანტია
9.1. მოწოდებულ საქონელზე მიმწოდებელი იძლევა გარანტიას ერთი წლის ვადით, შემდეგი პირობებით: დაზიანების შემთხვევაში (გარდა ფიზიკური დაზიანებისა) მიმწოდებელი განახორციელებს ხარვეზების აღმოფხვრას შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე, ხოლო პროგრამულად არსებული ხარვეზის ვერ გამოსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი უზრუნველყოფს წუნდებული საქონლის ახლით ჩანაცვლებას.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/ და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

14.2 საქონლის მოწოდების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით,მოსაწოდებელი საქონლის 0.1%-ის ოდენობით.

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

15.3. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

16.1. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი, სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ი. ელიაშვილი.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

17.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა საგარანტიო ნაწილში გრძელდება 9.1. პუნქტით გათვალიწინებული საგარანტიო მომსახურებით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (3- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - „მიმწოდებელთან", ხოლო ორი - „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957 ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222) ა/ა 200122900 ვალერი კვარაცხელია მინისტრის მოადგილე	შპს „ტელკო სისტემს" მის: ქ. თბილისი ნუცუბიძის 221, კორპ.1ა, ბ.33, ს/კ 205203279 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", ბ/კ UGEBGE22 ა/ა GE54VT6600001212123602 ირაკლი გულუაშვილი დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

ი. ქიტიაშვილი

ი. აბრამიშვილი

ი. ელიაშვილი

ი. ფალალია

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

11 12 2015 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს ,,ტელკო სისტემსის“ მიმართ სრულიად ვაკმაყოფილებთ „საბელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესს.

ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

ი. ელიავშვილი